№ 5-22
78

# ნაკადული № II

სურათებიანი
ჟურნალი



1908

მცირე

წლოვანთათვის.

ივნისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—სიხარული.—(ლექსი) აზრი რუსულიდან თედო კანდელაკისა . 3

II—რას გალობს შაშვი?—ი. ევდოშვილისა . . . . 5

III—ასანთის გამყიდავი.—(ფრანგულით) თ. ბ.-სა. . . . 9

IV—მელია-მსაჯული.—(არაკი) თედო კანდელაკისა. . . 12

V—რა გვიამბო დედამ.—XII მინ.—(გაგრძელება, თარგმანი) ან. ამილახვრისა . . . . . . . . . 15

VI—ზღვის ვარსკვლავი.—(ვახნერიდან) დ. ყიფიანისა . . 18

VII—სამი ყორანი.—(რუსულით). . . . . . . . . 20

VIII.—რებუსი და ახსნა . . . . . . . . . . 24

6-22

საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის




წელიწადი მე-IV. № 11 ივნისი 1908 წ.



ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

# შინაარსი


I—სიხარული.—(ლექსი) აზრი რუსულიდან თედო კანდელაკისა . 3

II—რას გალობს შაშვი? ი. ევდოშვილისა . . . . 5

III—ასანთის გამყიდავი.—(ფრანგულით) თ. ბ.-სა. . . . 9

IV—მელია-მსაჯული.—(არაკი) თედო კანდელაკისა. . . 12

V—რა გვიამბო დედამ.—XII მინა.—(გაგრძელება, თარგმანი) ან. ამილახვრისა . . . . . . . . . . 15

VI—ზღვის ვარსკვლავი.—(ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა . . 18

VII—სამი ყორანი.—(რუსულით). . . . . . . . 20

VIII.—რებუსი და ალსნა . . . . . . . . . . . 24

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიხარული

(აზრი რუსულიდან)

გვითხარ, ცელქო, სად გაქვს ბინა
მოუსვენარს და ცქრიალას?
—მსუბუქ ღრუბლებს ჰკითხეთ მაღლა,
სადაც უშვებთ თქვენ ფრიალას.

—

— რითი მოსველ იქიდან აქ,
სიხარულო, ჩვენ სალხენად?
— მე მაისის ხარაბუზამ
მომიყვანა,—ის მყავს ცხენად.

—

— წუღა სად გაქვს, ან ფოსტალი,
რომ მოსულხარ ფეხშიშველა?
— თქვენთან მოსვლას რომ ვჩქარობდი,
წყალში ჩამრჩა, დამისველა!

—

— მაგ ლამაზი ყვავილების
გვირგვინით ვინ დაგამშვენა?
— ტყე-მინდორში წამოვკრიფე,
რომ საჩუქრად გიძღვნათ თქვენა!

—

— ეგ ღიმილი აღტაცების
ვისგან მოგაქვს, საიდანა?
— გაზაფხულის სანეტარო,
სალხინო დრომ მომიტანა.

—

— ტანზე ფრთები ვინ შეგასხა
მსუბუქი და განიერი?
— ეს ობობამ მომიქსოვა,
ოსტატია გონიერი.

—

— აბრეშუმის ხუჭუჭი თმა,
ეგ სიტურფე და ელფერი?
— თმა ნიავმა დამივრუზა,
მზემ გადამკრა თვისი ფერი!

—

— თვალები ვის გამოართვი,
ეგ ქუქუნა და ცოცხალი?
— ჭაში ვპოვე, სადაცა დგას
ანკარა და წმინდა წყალი!

—

— რითი მოგვფენ, სიხარულო,
ჩვენ სიამეს, ეს გვითხარი?
— ათას გვარი ეშმაკობა
მზად მაქვს თქვენთვის გასახარი.

—

— სად იპოვე, ვინ მოგიძღვნა
ეგ სიამე და ეგ ლხენა?
— იმდენი აქვს ბრწყინვალე დღეს,
ვერც-კი მოთვლის იმას ენა!

—

— ჩვენ რითღა გადაგიხადოთ
ამ სიამის მაგიერი?
— მე არას გთხოვთ,—შემიყვარეთ
და იყავით მადლიერი!

თეო კანდელაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას გალობს შაშვი?



დედათქვენს რად ეკითხებით, ყმაწვილებო, ჩემს ამბავს! მე უფრო უკეთ გიამბობთ.

თქვენ გიკვირთ, საიდამ გავჩნდი მე აქ, ასე ახლოს თქვენთან, ამ რკინის გალიაში: მეც მიკვირს, ვნანობ ჩემს გაუფრთხილებლობას, მაგრამ ეხლა რაღა იქნება! ეს უბედურება, ყმაწვილებო, მე დამატყდა თავს გასულს ზამთარს. პირველადვე ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ მთლად დაჰფარა დედამიწა, ხეები, ტყე, ბაღი; ციოდა. ნისკარტს ველარ ვაწვდენდი მიწამდე, რომ საჭმელი მეშოვნა. ხეებზედაც თოვლის მეტი აღარა იყო-რა.

ორივე უბედურება ერთად მეწვია: სიცივე და სიმშილი. მაგრამ განა მარტო მე ვიყავ ამ მდგომარეობაში! ყველანი, სუყველა ფრინველი. დილით რომ ამოვძვრებოდი მუხის ფუღუროდამ, თოვლზე ვხედავდი ფრთებ მოკუმულ უსიცოცხლო ბეღურებს, ჩხიკვებს, ყვავ-კაჭკაჭებს. ჩემი ძმაც იმ ზამთარს გამოესალმა სიცოცხლეს. რა მექნა, საით წავსულიყავ, როგორ დამეხწივნა თავი სიკვდილისათვის? ერთად ერთი საღსარიღა დამრჩენოდა შევკედლებოდი ადამიანს. თუმცა გულში მეშინოდა, მაგრამ ვფიქრობდი: ნუ თუ ამ ყიამათში არავინ შემიბრალებს, არავინ დამიხსნის გაჭირვებისგან მეთქი? მით უმეტეს, რომ არავისთვის რა დამიშავებია ჩემს სიცოცხლეში. ორი დღე ჩემს პირს საჭმელი არ ენახა. მშიოდა. როგორც

იყო გავბედე და მივუახლოვდი ერთს კალოს. ვენახიდამ ღობეზე, ღობიდამ საბძელზე და იქიდამ-კი ჩავფრინდი მირს ბოსლის წინ, სადაც თოვლი გადაეწმინდათ და ხარებისთვის ბზე დაეყარათ. ბედმა არ მიმტყუნა, მართლაც ბზეში რამდენიმე პურის მარცვალი ვიპოვნე. სიმშილი მოვიკალ, მოვცოცხლდი. გავიდა რამდენიმე დღე, არავინ რას მიშავებდა. ეს ამბავი, რასაკვირველია, შევატყობინე ჩემს მეგობრებსაც და მათთან ერთად ყოველდღე ვეწვეოდი ხოლმე ჩვენს გულკეთილ მასპინძელ ხარებს, რომელთაც ისე შევეჩვიეთ, რომ ვასხდებოდით ზურგზე და ვაცლიდით ბეწვებიდამ ბზეს, ჭიას, ჭუჭყს. ისინიც მადრიელნი იყვნენ ჩვენი. ასე გავატარეთ რამდენიმე დღე და გვეგონა ჩვენს მეგობრობას აღარავინ დაშლიდა. მაგრამ მოვსტყუვდი. მტერი თურმე ჩვენს დაარხეინებას უცდიდა.

ერთს დილას ჩვეულებრივ, როგორც ბელადი, გავუძეხ წინ ჩემს ამხანაგებს და ვეწვიეთ ჩვენს გულკეთილ ხარებს. დავუწყეთ საჭმელს ძებნა ბზეში... უცბად თავზე რაღაცა დამეცა. ჩემმა ამხანაგებმა გაასწრეს, მე კი ვფორთხალობდი, მინდოდა თავი გამეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ შევძელ; ზევიდამ მაწვა ლასტი, რომელიც ბიჭებს ისე ეშმაკურად დაეგოთ, რომ ვერავინ შევამჩნიეთ. ან კი რა ფიქრს მოვიდოდი, ვის რას ვუშავებდით?

ეეჰ! ჩავვარდი ტყვედ, გამომიყვანეს ლასტის ქვეშიდამ, გამსინჯეს,—ხომ არა მოსტყდარაო, და როცა დარწმუნდნენ, რომ უვნებლად გადავრჩენილიყავ, მეტად გაიხარეს. იქნებ გამიშვან მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ამაოდ. მეორე დღეს მომიყვანეს დედა თქვენთან, რომელმაც მათ რამდენიმე გროში აჩუქა და მე კი ამ გალიაში დამამწყვდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა, ყმაწვილებო, გაზაფხულია, ჩემს პატარა ციხიანად გარედ გამომიტანეს და ვკიდივარ აი, აქ თქვენს აივანზე.



აქედამ ვუყურებ როგორ სრიალებენ ჰაერში მერცხლები, როგორ მიქრივ-მოქრიან ტოროლები, როგორ აბარტყუნებს ფრთებს შროშანი. გავსცქერი ამწვანებულს მინდორს, ტყეს და გული მიკვდება. იქ ეხლა ჩემი ამხანაგები მხიარულობენ, ულოცავენ ერთმანეთს ზამთრისაგან გადარჩენას, აკეთებენ ბუდეებს, რომ შვილებს მიესაყვარლნენ, ეალერსნენ, აკოცონ, მეკი, მე უბედური ვზივარ აქ, ამ თქვენს გალიაში და ვგალობ, ვგალობ მწარედ და ამ სიმღერაში მე ვსტირი ჩემს თავს.

მართალია, რამდენიმე პურის მარცვლისთვის დავიტყვევე თავი..

— მართალია, აქ საჭმელი არ მაკლია, შაქარიც კი მიძევს წინ მაგრამ ყველა ეს ჩემთვის უგემურია, შხამია! არა, არ მინდა თქვენი ლალა მიმაობა, გამიშვით, გამიშვით აქედამ, რომ მეც ჩავუჭიკჭიკო გაზაფხულის აფერადებულ ტყე-ველს!

აი რას ვგალობ მე, ყმაწვილებო, და რას გემუდარებით!

**ი. ევდოშვილი**



# ასანთის გამყიდავი

(ფრანგულით)

ზღაპარი-კი არ გეგონოთ, რასაც მე გიამბობთ! პატარა ბიჭის ამბავი სრული სინამდვილეა და ერთი მდიდარი ინგლისელი, რომელიც მონაწილე იყო ამ შემთხვევისა, ხშირად გვიამბობდა ამ საცოდაობას და ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზედ.

— ერთხელ, მოგვითხრობს ინგლისელი, ლონდონის დიდ ქუჩაზე მონძებში გახვეული, გამხდარი და გაფითრებული, ასე თერთმეტი წლის ბავშვი მომიახლოვდა და შემეხვეწა,—ღვთის გულისთვის, ერთი კოლოფი ასანთი იყიდეთ ჩემგანაო.

გავსინჯე ჩემი ქისა: შიგ ოქროების მეტი არა იყო რა.

— მალიან მინდა დაგეხმარო, მაგრამ ხურდა არა მაქვს, შინ დაბრუნება-კი მეზარება,—ვუთხარი პატარას.

— ეგ არაფერი, ბატონო, მიბოძეთ ოქრო, აქვე დუქანში შევირბენ და ეხლავე მოგართმევთ ხურდას.

— მართალს ამბობ?—ვკითხე მე და თვალებში დავაშტერდი.

— მართალს, ბატონო! მე ქურდი როდი გახლავართ.

მართლაც იმის გამხდარ სახეზე და თვალებში ისეთი სიმართლე იხატებოდა, რომ მივეცი ოქრო. ბავშვი გაიქცა და ხალხში შეერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა ხუთი წუთი, მერე ათი. თითქმის ნახევარ საათს ველოდი, მაგრამ ბავშვი არსად ჩანდა. რაღას ვმდგარიყავი, წაველი სასეირნოდ და თან ვფიქრობდი, პატარას მართალმა სახემ ჭკუა მასწავლა მეთქი.

შინ რომ დავბრუნდი, მოსამსახურემ მითხრა, ერთ პატარა ბიჭს თქვენი ნახვა უნდა და აქ გელითო. მართლაც ოთახში მელოდა ჩემს ქურდზე ბევრით პატარა და გამხდარი ბავშვი.

— ბატონო! თქვენ უბოძეთ რობერტს ოქრო? შემომეგება ბავშვი.

მე თავი დავუქნიე.

— ინებეთ ხურდა, რობერტმა გამომგზავნა. ის ჩემი ძმაა. . ობლები გახლავართ. თითონ ვერ გიახლათ... ეტლმა გადაუარა... მგონი, კვდება.—საწყალ ბავშვს ცრემლები სდიოდა.

— სად არის ეხლა? წამიყვანე შენს ძმასთან!

გარედ გავედით. გავიარეთ მდიდრების უბანი, შევედით ღარიბ და ჭუჭყიან შესახვევში. ბავშვი შედგა ძველ ნანგრევებთან და მითხრა: აქ გახლავთ, ბატონო. დანგრეულმა კიბემ ბნელ და ჭუჭყიან ჯურღმულში ჩაგვიყვანა, სადაც კუთხეში ძონძებზე იწვა ჩემი პატარა გლახა. საცოდავს სახე უფრო გაჭფითრებოდა, შუბლიდან სისხლი სდიოდა.

ბავშვი მობრუნდა ჩვენკენ. „ბატონო, წარმოსთქვა დასუსტებული ხმით, მომიახლოვდით, თუ შეიძლება“. მე დავიჩოქე საცოდავის წინ და მოვკიდე ხელი იმის გამხდარ პატარა ხელს.

— მიართვი ფული? მიუბრუნდა რობერტი თავის ძმას. ეხლა ხომ დარწმუნდით, ბატონო, რომ ქურდი არა ვარ.

მერმე ისევ თავის ძმას დააცქერდა და წაიდუდუნა: ღმერთო ჩემო, რა ეშველება ჩემ პატარა კარლს, ვინ უპატრონებს?.. იცით, მაგას ჩემს მეტი არავინა ჰყავს.

მე დავამშვიდე, დავპირდი შენს ძმას მე წავიყვან და ვუპატრონებ მეთქი. მანამ მე ველაპარაკებოდი, პატარა ხელი თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათან უცივდებოდა. საცოდავი ხმას აღარ იღებდა, მხოლოდ დრო და დრო გადმოგვხედავდა ხოლმე ხან თავის ძმას, ხან მე.

ხელში მომიკვდა საწყალი. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე ასეთი უმანკოება და სისპეტაკე ნორჩი სულისა, რომელიც ასე წმინდად და უმწიკლოდ დარჩენილიყო იმ უწყალო და აუტანელ სიღატაკეში.

თ. ბ.



# მელია—მსაჯული

(არაკი)



ერთი მაიმუნი უთავბოლოდ დაბრაცუნებდა, საცა არა მგონია ცხვირს წაჰყოფდა და ყველაფერს ჰსუნავდა, სჩხრეკდა. ერთ ალაგას აკოკოლავებული ქვები დაინახა და თვალები დააჭყიტა—ცნობის მოყვარეობა აეძრა:

— რა განძია აქ დაფლული, თუ არ ვნახე, არ შეიძლებაო, იფიქრა და ქვები გადმოალაგა. ვნახოთ, მიწაში დიდი ხვრელი გამოჩნდა და ახლა იქ ჩატანტლა დაუდეგარი თათი — ეგება სასუსნავ რასმე წავაწყდეო. უცებ ხვრელიდან, — ჯვარი აქაურობას! — უშველებელი გველი ამოძვრა, — ვინ იცის ვისგან და რა მიზეზით ჩაქოლილი!..

ჯურღმულიდან გათავისუფლებისათვის მადლობის გადახდის მაგივრად, გველი წაეტანა მაიმუნს შხამმორეული სისინით და ჩანთქმა დაუპირა.

— არა, შე ოხერო ჩემო თავო, რა ერბოს ქილები გეგულებოდა ჩაფლული ამ ოხერა ადგილას, რომ ასე გულმოდგინედ ეძებდიო! უსაყვედურა თავის თავს მაიმუნმა, მერე მიუბრუნდა გველს ცახცახ-კანკალით და შეევედრა:

— მომიტევე შეცოდებანი ჩემნი, ღირსეულად პატივცემულო ბატონო გველვეშაპო! რომ მცოდნოდა თქვენი აქ სუფევა, ისე როგორ ღმერთი გამიწყრებოდა, რომ სიახლოვეს მოგეკარებოდიო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გველი მაშ რის გველია, თუ დანდობა და შებრალება ეცოდინება!

— როგორ თუ? მაგეთი უზრდელობისა და თავხედობის გამოსყიდვა,—როგორც ჩემი ძილისა და მოსვენების დაფთხობაა,— მარტო სიკვდილით თუ შეგიძლია, სხვით ვერაფრითაო! დაუსისინა გველმა და უფრო მიუახლოვდა.

ამ დროს შორი-ახლოს თბილი სისხლით შეზარხოშებული მელია მოცუნცულებდა ღიღინითა და ტუჩის ლოკვით. მაიმუნს მელიის ოინბაზობა გაგონილი ჰქონდა და გველს მოახსენა:

— ბატონო ჩემო, აგერა ღვთისნიერი ადამიანი მოდის და, თუ უკაცრავად არ გახლდებით, მოვიწვიოთ ჩვენი საქმის გასარჩევად!

— კეთილი და პატიოსანი! მაგრამ არ შეგრცხვება მერე, რომ იმანაც იგივე გადამიწყვიტოს, რასაც მე გიპირებო?— უთხრა გველმა, რადგან დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში.

შეაჩერეს მელია და ყოველივე დალაგებით მოახსენა ერთმაცა, და მეორემაც.

— ბატონებო, მე აგრე უმოწმოდ და უსაბუთოდ თქვენი საქმისას ვერას გავიგებ და მართებულად ვერ გაგასამართლებთ, თუ ჩემი საკუთარი თვალით არ დავინახე, რა მდგომარეობამ და მოქმედებამ გამოიწვია თქვენ შორის ეს აურ-ზაური და შურისძიება. ამისათვის საჭიროა, რომ მომჩივანი ცოტა ხანს ისევ თავის ხვრელში შებრძანდეს, ხოლო მოპასუხე გაისარჯოს და ეს ქვები როგორც აალაგა, ისევ ისე დაალაგოს წყობისად თავ-თავის ალაგასაო.

გველს დიდად მოეწონა მსაჯულის ასეთი კეთილ-გონიერება, საქმის საფუძვლიანად გარჩევა და პირწყლიანობა; არხეინად ჩაჰყო ბოლო ხვრელში და ნელა-ნელა ჩაიკეცა გორგალივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიამ ამ დროს მაიმუნს თვალი ჩაჰკრა: ახლა შენ იცი და შენმა ხელოსნობამო!.. მაიმუნი დაფაცურდა და გველს ჯერ თავიც არ ჩაემალა ხვრელში, რომ მიაყარა ქვა და ლოდი და თვალის დახამხამების უმალ ამოჰქოლა მაგრად.

შექეიფიანებულ მელანიას მუცელი ხელით ეჭირა და იცინოდა, რას იცინოდა, იჭაჭებოდა სიცილით ისე, რომ თვალთაგან ცრემლები გადმოსდიოდა...

— აჰა, ბატონო ქვეწარმავალო, გათავდა თქვენი გასამართლება: ვინაიდგან შენ უკმაყოფილებას აცხადებდი იმაზე, რომ მაიმუნმა სიტუტუცით ქვები მოგაშორა თავიდან და, მართალია ძილი გაგიფთხო, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლება მოგანიჭა, აწ მან, მართლა და ტუტუცმა, თავის შეცდომა გაასწორა და ისევ ისე შეგიძლია მიეცე ტკბილ ძილს მაგ ბნელ ხვრელში, რამდენი ხანიც გნებავსო! ჩასძახა მელამ გველს, გამოემშვიდობა მაიმუნს და თავის სოროსკენ გასწია თვალის მოსატყუილებლად მცირე ხანს.

სიხარულით აღფთოვანებულმა მაიმუნმა თავის ბინისაკენ მოჰკურცხლა, მაგრამ მას აქეთ შიშით გულის ფრიალი დასჩემდა საცოდავს!..

თეო კანდელაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა გვიამბო დედამ

## მინა

### XII

დღეს ავისრულებთ დანაპირს და გიამბობთ მინის ამბავს,—უთხრა დედამ. კარგა ხანია რაც მინა გამოიგონეს, ოღონდ პირველში მინისას მარტო სამკაულს აკეთებდნენ, მერმე საყდრის ფანჯრებში ჩასხეს, და ამ 300 წლის წინად მარტო ძალიან მდიდარ და გამოჩენილ პირთ ჰქონდათ მინის ფანჯრები, რადგანაც ძალიან ძვირი იყო მაშინ მინისას ჭიქებსაც არ აკეთებდნენ, მდიდრები სვამდნენ ვერცხლის და ოქროს თასებით და ღარიბნი ხის და თიხის ჭურჭლით.

— დედა, მინა რისგან კეთდება?

— იცი, ტალი რა არის, ნორმან? ჰო და ტალი რომ დადნეს, მინად იქცევა, მაგრამ მისი დამტვრევა და დაწვა მეტად ძნელია; ტალის ქვა ძალიან მაგარია და წყალი ბევრს გვშველის რადგან ტალღები რომ სცემენ ტალის კლდეებს, უმტვრევენ ნაპირებს, მოაგორებენ ერთმანეთს აჯახებენ და წვრილად ამტვრევენ, პაწია კენჭებად ხდიან, და ბოლოს ქვიშადაც აქცევენ. გახსოვთ, გიამბეთ, რომ სოდას ხმარობენ საპნის გასაკეთებლად, იმავე სოდას ანუ პოტაშს ურევენ აგრეთვე მინის გასაკეთებლადაც: ქვიშაში ურევენ და ქვიშა იმის გამო უფრო ადვილად დნება. სოდა და ქვიშა უმთავრესი მასალაა

მინის გასაკეთებლად, მაგრამ გარდა ამისა კიდევ ურევენ კირს სიმაგრისთვის, და აგრეთვე ტყვიას, რომ მინა ბჭყვრიალებდეს. ხანდახან მინის ნამტვრევებსაც გადაადნობენ. ამიტომ აგროვებენ ბოთლების და ერთობ ჭურჭლის ნამტვრევებს. ქვიშის დასადნობად, სოდაც რომ ერიოს, მეტად დიდი ცეცხლია საჭირო. ამისთვის აშენებენ დიდრონ, მაგარ აგურის ღუმელს, სადაც დღე და ღამ ცეცხლი ანთია, ხანდახან ორი-სამი წელიწადი არა ქრება იქ ცეცხლი. პარასკევს და შაბათს ცეცხლში სდებენ ქვიშას, სოდას და ძველ მინეულობას ორშაბათს უკვე დამდნარია, მზად არის მინის სითხე. ხანდახან მინას ადნობენ დიდრონ მაკარ თიხის ქვევრებში რომელსაც ზემო პირი ახდილი აქვს, ამ გვარ ქვევრებს უწოდებენ მინის სადნობლებს; თითოში 60 ფუთი მინა ჩადის; ღუმელს აქვს პაწია ფანჯრები, საიდამაც მუშებს გამოაქვთ მინა; ყოველფანჯარასთან მუშაობს 3—4 კაცი და ერთიც პატარა ბიჭი. თუ მეშუშეს ბოთლის გაკეთება უნდა, ის იღებს გრძელ ორ არშინიან ლულას და ჩაუშვებს მის ბოლოს დამდნარ მინაში' ლულას მინის გუნდა მიეკვრის; მეორე მუშა ამ გუნდას სდებს ყალიბში რომელიც საჭიროებისამებრ იღება და იხურება. მუშა უბერამს ლულაში, მანამ ყალიბი ღიაა, და მზადდება ბოთლი. ლულას აშორებენ ყალიბს ცივი წყლით; მერმე, ბიჭს მიაქვს ბოთლი მესამე მეშუშესთან, რომელიც ჩქიფით უკეთებს ბოთლის პირს. ნახეთ, თქვენს ბოთლსაც აგრე აქვს პირი გაკეთებული. გარეგნად ბოთლი თითქმის მზად არის სახმარებლად, მაგრამ იცოდეთ, მაშინვე დაიშლება თუ რომ არ გამოიწვა და მერე თანდათან წყნარად არ შეცივდა. ამის გამო ღუმელში



შეაწყობენ მრავალ ბოთლებს და სამი დღე შიგა აქვსთ. დუმელი ჯერ ძალიან ცხელია, მერე თანდათან ნელდება. თუ დაეშურნენ და კარგად არ გამოსწვეს, როგორც ხანდახან მოსდება ხოლმე, გამოუწვავი ბოთლი ცხელ-წყალში სკდება. მე რომ გიამბოთ, როგორ სჭრიან, აშალაშინებენ, როგორ აკეთებენ ფანჯრის მინებს და სარკეებს, რამოდენიმე საღამო მომინდება. დღეს იკმარეთ თქვენი წამლის მინის ამბავი.

— რამდენი ბოთლი გაკეთდება დღეში, დედა? იკითხა ადამ.

— ერთ მუშას შეუძლიან გამოჰბეროს ათასზე მეტი ბოთლი.

— საბრალო, როგორ დაიღალება,—შენიშნა ემიმ.

— დიახ, მინის ბერვა ძალიან ძნელი საქმეა. მუშები ყოველ 6 საათს იცვლებიან, რომ დაისვენონ და სული მოიბრუნონ. რიგი ისვენებს, რიგი მუშაობს, მხოლოდ კვირა დღეს, როცა მინა დნება, მუშები მთელ დღეს ისვენებენ.

ან. ამილახვარისა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზღვის ვარსკვლავი

(ვაგნერიდგან)

ვარსკვლავები, მარტო ცაზე კი არა, ზღვაშიაც მოიპოება. მაგრამ ზღვის ვარსკვლავები სრულიადაც არ კაშკაშებენ. ზღვის ვარსკვლავი ცხოველია. მისი პრტყელი ტანი ჩვეულებრივ ხელის გულის ოდენაა, სისქით-კი თითის სისქეა. ტანი მომრგვალო ან ხუთ კუთხოვანი აქვს, რომლის კიდეებზე გრძელი ხორცმეტები აქვს მიბმული, რიცხვით ხუთი, ხან და ხან მეტიც: ათი და ბევრჯერ ოცდა ათიც. პირი ტანის ქვედა ნაწილზე იმყოფება—ესე იგი ვარსკვლავის შუა გულში. თვალები და ყურები სრულებით არ ეტყობა, მაგრამ, როდესაც სხვა რაიმე საგანი მიუახლოვდება, კარგადა გრძნობს. ზღვის ვარსკვლავის ხელში აყვანა, სანამ ცოცხალია, მეტად ძნელია, რადგანაც ისე ისუსხება, როგორც ჭინჭარი. მთლად რაღაც ლორწოში არის გახვეული, რომელსაც თავის მსხვერპლს გადაასხამს ხოლმე; შემდეგ პირითა და იმ ნახვრეტებით, რომელნიც ხორცმეტების ბოლოებში აქვს, წვენს ამოსწოვს. იგი ისე ამოძრავებს თავის ხორცმეტებს, როგორც ნიჩბებს და ამიტომაც კარგად დაცურავს. აი რაღაც თევზსაც მიუახლოვდა; სწრაფად იჭერს და ხორცმეტებს ზედ შემოხვევს: მწვავე ლორწო თევზსა ჰკლავს და ზღვის ვარსკვლავი მის წვენს სწუწნის.

საზოგადოდ თევზის დაჭერა უჭირს, რადგანაც თევზი მარდად დაცურავს, იმიტომაც ლოკოკინებს უფრო ეტანება, რომლებიც ათასობით ერთი მეორეზე მიწყობილნი არიან ზღვის ძირზე. ვარსკვლავი ნელ-ნელა მიცოცავს ლოკოკინისაკენ. ისიც არ გაურბის, ოღონდ სახურავს თავზე წაიფარებს, ზღვის ვარსკვლავი თავზე აწვება, ტანიდგან შხამიან ლარწოს უშვებს და იცდის; ბოლოს ლოკოკინა თავს გამოყოფს, ლორწო საწამლავივით ტანზე მოხვდება და ისე სუსტდება, რომ სახურავის წაფარებას ველარ ახერხებს, უმწეოდ რჩება და ჩვენი ზღვის ვარსკვლავიც გემრიელად შეექცევა თავის მსხვერპლს.

**დ. ყიფიანი**



# სამი ყორანი

(რუსულით)



სულ რამდენიმე საათია, რაც საშინელი გამწვავებული ბრძოლა შესწყდა და ჭაერი ტყვიაწამლის სუნისგან ჯერაც არ გაწმენდილა.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს სპეტაკ თოვლით დაფენილი მინდორი საღამომდე სისხლის მორევად გადიქცეოდა და ასე გაუმაძღრად რამდენიმე ასი კაცის სისხლს შესვამდა...

დიაღ, ეხლა ის თოვლი აღარ ჰგავს თეთრ სპეტაკ ზეწარს! იგი შეღებილია წითლად და მოფენილია რუს მაზარაში შეხვეულ დაჭრილ და დახოცილ ჯარისკაცთა გვამებით.

აგერ ერთ ადგილს გაფითრებული სახით და ნახევრად დახუჭულ თვალებით გულ-აღმა გდია ახალგაზდა ჯარის კაცი. ის მამაცად და გაშმაგებით ებრძოდა მტერს, მაგრამ ბოლოს ტყვიამ იმასაც მიაგნო და ძირს დასცა.

ამხანაგებმა თუმცა შეამჩნიეს საუკეთესო მეომრის წაქცევა, მაგრამ მკვდარი ეგონათ და ყური არ უგდეს.

მაგრამ არა, ცოცხალია და მწარედ კვნესის და გმინავს, მაგრამ ვინ არის პატრონი, რომ დაეხმაროს და სიკვდილს გადაარჩინოს? არავინ! პასუხად მხოლოდ მომაკვდავთა კვნესა მოესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის კაცი დასუსტდა, მოიღალა სიკვდილთან ბრძოლით და ღონემიხდილმა თვალები მილულა.

ამ დროს მთის წვეროზე, რომელიც მაღლა თავაღებული ამაყად დასცქეროდა ბრძოლის ველს, ჩრდილოეთის მხრით სამი შავი წერტილი გამოჩნდა.

წერტილი თან და თან დაუახლოვდა დედამიწას, გადიდდა და აგერ ნათლად გამოჩნდა შავი ყორნის ფრთები; ეგრძნოთ ბრძოლის გათავება და მოაშურებდნენ ძირს, ლეშით გასაძღომად.

ყორნებმა ბევრ დაჭრილ-დახოცილთ გადაუარეს და თითქოს არც ერთი არ მოეწონათ, განაგრძეს ჭაერში ტრიალი. მაგრამ აგერ შენიშნეს ახალგაზდა ჯარის კაცი, მიუახლოვდნენ და ხარბად დაუწყეს მას ცქერა.

დაჭრილი შეკრთა, შეინძრა, თვალები ოდნავ გაახილა და ნათლად გაარჩია თავის სიახლოვეს სამი ყორანი.

— უთუოდ ჩემთან მოფრინდნენ გასაწიწკნად, ალბად მკვდარი ვგონივარ, — გაიფიქრა ჯარის კაცმა და მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

ყორნები დაეშვნენ დედამიწაზე და დაჭრილის სიახლოვეს ჩამწკრივდნენ.

ეტყობათ ყორნებს თავის დღეში სიმშილი არ უგრძვნიათ, რომ ასე ჩასუქებულები არიან და მედიდურად გამოიყურებიან. მათ ამაყ შეხედულობას ხელს უწყობს და უფრო ამშვენებს შავი გიშერივით ბრწყინვალე ბუმბული. ფრთები და ფეხები მეტად სუფთადა აქვთ შენახული და მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ომის სიახლოვეს იმყოფებიან, ტანზე ერთი ბუმბულიც არა აქვთ აწეწილი. ეს კია, რომ ომს მხოლოდ ზევიდან დასცქერიან და ძირს ჩამოსვლას მხოლოდ მაშინ ბედავენ, როცა ბრძოლის ველზე უკვე ყველაფერი დაწყნარებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორნები კარგა ხანს ისხდნენ ასე, ჩუმად, რაღასაც ჩურჩულებდნენ და თან თვალს არ აშორებდნენ დაჭრილს.

— ძმებო! — მიუბრუნდა ბოლოს ხმა მაღლა ერთი ყორანთაგანი ამხანაგებს: „მე თქვენ აქამდის იმიტომ არსად არ შეგაჩერეთ, რომ ეს ფრანგი შემჩნეული მყავდა და მინდოდა პირდაპირ ამასთან მომეყვანეთ.

ეს იყო მეტად მხნე და მამაცი მეომარი, მაგრამ ცოტა გამოცდილება აკლდა და სწორედ იმან დაღუპა უბედური. შეხედეთ ამის დაცხავებულ ტანისამოსს. რამოდენა ტყვია იყო საჭირო, რომ ამას ბოლო მოჰღებოდა?

ვგონებ, ეს ჩვენთვის ჩინებული დავლაა და, თუ თქვენი სურვილიც იქნება, სამივემ ძმურად გავიყოთ. მართალია მაგის ფარ-ხმალი დამტვრეული და გაფუჭებულია... თუმცა ჩვენ წინ შიშველი თავით და უმოძრაო ხელებით გულ-აღმა გდია, მაგრამ მაინც, რა ვიცი... სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, — ვინ იცის, ეგებ მაგის დედამიწის ზურგზე დატოვება ჩვენთვის სახიფათოც იყოს“.

ასე ლაპარაკობდა მედიდური ყორანი, დანარჩენები კი მოწიწებით ყურს უგდებდნენ.

„მაშ აბა, ძმებო, — განაგრძო ყორანმა, — გავიყოთ ეს ლეში და შევჭამოთ. მე ჩემ წილად ვიღებ ამის მამაც გულს იმ იმედით, რომ ის გამაახლებს და გამაჭაბუკებს!“

საბრალო ჯარის კაცო! გესმის რას ამბობს შავი ყორანი? ან ეგებ მართლა შესწყვიტა შენმა გულმა ცემა?

„მე კი, — დაიწყო მეორემ — ამოვკორტნი და შევჭამ მაგის თვალებს. ფრანგის თვალი ყოველთვის ნათლად ჰხედავს ყველაფერს და სიცოცხლით გაბრწყინებულია“.

ჩქარა გაახილე, მომაკვდავო, თვალები! ჩქარა, სანამ კიდევ ძალ-უძს დაინახოს რამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე,—დაუმატა მესამემ,—მაგის ენას შევჭამ. ძველ დროში ენა საუკეთესო და უგემრიელეს საჭმელად ითვლებოდა·“

— ჰა, ხმა ამოიღე, მრავალ-ტანჯულო ფრანკო! ხმა ამოიღე და გააგებინე შავ ყორანს, რომ მიუხედავად შენი უზომოდ დაღვრილ სისხლისა, იგი მაინც კიდევ დარჩა შენ მარღვებში და ჯერ კიდევ სრულიად არ შეუწყვეტნია მას მოძრაობა.

მაგრამ ჯარის კაცი ჩუმად და გაუნძრევლად იყო. ალბად მართლა მოკვდა, რაკი გაუნძრევლად დარჩა მაშინაც კი, როდესაც სამივე ყორანი ზედ დააფრინდა.

ოჰ, საბრალო! ნაკუწ-ნაკუწად გაქცევენ, დაგგლეჯავენ! გაანადგურებენ მარტო შენ ლეშს კი არა, შენ ტანისამოსსაც-კი და ერთ ღილსაც არ შეარჩენენ შენ მაზარას, იმიტომ რომ მტაცებელ ფრინველის წესი ეგ არის! ის იტაცებს ყველას, რაც კი ბრწყინავი და კარგია, თუგინდ იგი სისხლითაც იყოს შესვრილი!

ყორნები ფრთხილად მიუახლოვდნენ ფრანკს, პატარა ხანს დააცქერდნენ, და ბოლოს ყველაზე მამაცმა თითში ნისკარტი ჩაჰკრა.

დაჭრილმა ახლა კი გაიღვიძა, გაინძრა და მთელი ტანი შეუკანკალდა.

ყორნები უკან გადახტნენ. არ მომკვდარა!.. არ მომკვდარა!.. შეშინებული ჩურჩულებდნენ ისინი.

დიაღ, ჯერ ისევ ცოცხალი იყო, და ეხლა ხომ ზიზღმა და ბრაზმა სრულიად დაუბრუნა გრძნობა.

ჯარის კაცმა თვალები გაახილა და თავი მაღლა აიღო.....

ზამთრის მზის მკრთალი სხივები მოეფარა მთის წვერს და აგერ საცაა ჩავა. ჯარის კაცი გრძნობს, რომ იგი ნელა ნელა უბრუნდება სიცოცხლეს და ადგომას ლამობს. ორივე ხელებით მაგრა დაეყრდნო სამშობლო მიწას და ზუზე წამოიწია·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორნებმა კი, რომლებიც გაფაციცებით და შიშით ადევნებდნენ თვალ-ყურს, რა დაინახეს რომ მომაკვდავი მოცოცხლდა და ზეზე დგება, სწრაფად გაშალეს ფრთები და მოუსვეს ჩრდილოეთის-კენ, სადაც ბნელ ბინდს არე მარე უკვე მოეცვა.

კ. თ.

## რებუსები







### მე-9 №-ში მოთავსებული გამოცანების ახსნა:

რებუსის ახსნა: კატამ თავი მოთხარა.

გამოცანების ახსნა:—1) გაზაფხული. 2) ობობა 3) სიმინდი.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველ დღიური გაზეთი

# „ამირანი“

## მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

## გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.
ნახევარი წლით „ „ „—4 მანეთი.
ერთი თვით „ „ „ „—90 კაპ.

---

**მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ**

## „განათლება“-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში; „ნაკადულის“ რედაქციაში და „იდეალის“ სტამბაში (კიკნაძესთან) ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისიდორე კვიცარიძესთან.

---

# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1908 ГОДЪ

## на газету

# ЗАКАВКАЗЬЕ

## ТРЕТІИ ГОДЪ ИЗДАНІЯ

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Съ доставной въ Тифлиссѣ: | | Съ пересылкой въ другіе города | |
|---|---|---|---|
| на годъ . . . . | 6 руб.—коп | на годъ . . . . . | 8 руб.—коп |
| на полгода. . . | 3 руб. 50 ко | на полгода . . . | 4 руб. 50 коп |

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

**Тифлиссъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.**

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

**პრემიები:** 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**. 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკტვენი!**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**